



## როგორ შევადგინოთ ბიზნეს-გეგმა

### კურსის აღწერა

ბიზნეს-გეგმა ეხმარება დამწყებ მეწარმეებს და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ბიზნეს-იდეის ბიზნეს-პროდუქტად გარდაქმნის საკითხებში.

ტრენინგ-კურსი სთავაზობს ბიზნესის წარმოებით დაინტერესებულ მსმენელებს იმ ცოდნის დაუფლებაში, რომელიც დაეხმარებათ მათ ბიზნეს-იდეიდან ბიზნეს-პროდუქტამდე გასავლელი გზის დაგეგმვასა და საჭიროების შემთხვევაში, პოტენციური ინვესტორების დაინტერესებაში

### კურსის მიზანი

კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს სიღმისეული ცოდნა ბიზნეს-გეგმის შედგენის საკითხებში, რაც დაეხმარებათ მათ:

- შესაძლებლობების გამოვლენასა და შეცდომების თავიდან არიდებაში;
- საწარმოო, ადმინისტრაციული და მარკეტინგული გეგმების განვითარებაში;
- ბიუჯეტის მომზადებასა და ფინანსური შედეგების დანახვაში

### სწავლების შედეგები

- კურსის დასრულების შედეგად სტუდენტები დამოუკიდებლად შეძლებენ ბიზნეს-გეგმის შედგენას საერთაშორისო სტანდარტით (ამერიკის მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ცენტრი - SBDC) დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით

## კურსის პროგრამა

### სესია 1: ბიზნესის დახასიათება (4 საათი)

- ბიზნესის ეკონომიკური მახასიათებლები
- ბიზნესის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები
- კონკურენტების დახასიათება
- ბაზრის ანალიზი
- ბიზნეს-გარემოს ანალიზი
- SWOT ანალიზი
- მარკეტინგული გეგმა
- ადგილმდებარეობის შერჩევა
- მენეჯმენტის დახასიათება
- საკადრო პოლიტიკა
- საოპერაციო გეგმის დახასიათება
- კრიტიკული რისკებისა და პრობლემების ანალიზი
- ინვესტიციისა და სესხის გავლენა ბიზნესის მახასიათებლებზე

### სესია 2: ინფორმაცია ფინანსების შესახებ (4საათი)

- საინვესტიციო გეგმა
- მომავალი პერიოდის ბალანსი
- მომავალი პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგება
- მომავალი პერიოდის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
- მომავალი პერიოდის ფინანსური ლიკვიდურობის მაჩვენებლები

### სესია 3: მხარდამჭერი დოკუმენტების შეგროვება (4 საათი)

- მიმდინარე ფინანსური ანგარიშების ფორმები (საბალანსო უწყისები, მოგება/ზარალის გათვლები, ძირითადი შესყიდვების დოკუმენტები, ფინანსური ლიკვიდურობის მაჩვენებლები, ფულადი ნაკადების მოძრაობა)
- სარეკომენდაციო წერილები
- სამოტივაციო წერილი
- ცხრილები, დიაგრამები
- ინფორმაცია პერსონალის შესახებ

### ლიტერატურა

საკითხავი მასალა, სლაიდები და სხვა ტიპის სალექციო მასალები სტუდენტებს დაურიგდებათ წინასწარ

### ძირითადი ლიტერატურა

1. Writing a business-Plan; <http://americassbdc.org/>